


აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის  
ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის  
№42 საჯარო სკოლა



2023-2024  
სასწავლო წელი

# 2023-2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

ყოველწლიურად ჩვენი სკოლის მოსწავლეები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო მაჩვენებლებს ინარჩუნებს!



100%-იანი გრანტი- 42%

70%-იანი გრანტი- 22%

50%-იანი გრანტი- 25%

საზღვარგარეთ ჩარიცხული მოსწავლეები-11%



## 2023-2024 სასწავლო წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2023-2024 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის 16 -მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 6 -მა ოქროს, ხოლო 10-მა მოსწავლემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

# წარმატებული კურსდამთავრებულები!

**ჩვენი სკოლის  
წარმატებულმა კურსდამთავრებულმა  
ტყუპებმა  
ლუკა და გვანცა წიწილაშვილებმა**

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შეფასებები მიიღეს და საქართველოს  
მასშტაბით წარმატებულ კურსდამთავრებულთა ათეულში არიან!!!





# წარმატებული კურსდამთავრებულები მათემატიკაში 51-დან 51! ქართულში 60-დან 60!



ლუკა წიწილაშვილი  
მათემატიკა-51/51!

ანა აბრამიშვილი  
მათემატიკა-51/51!


საბა კვეტენაძე  
მათემატიკა -51/51!

ირაკლი ზერეკიძე  
მათემატიკა-51/51!

ანი მელიაშვილი  
ქართული-60/60!



ვაისაბუჯი უდიდესი კონსტრუქციული უდიდესი  
ინგლისურში 70-დან 70!  
ქართულში 60-დან 60!




**ანდრო ტეფნაძე:**  
ქართული - 60/60!

**ლუკა გოგოლაძე:**  
ინგლისური- 70/70!

**გიორგი შალაბერიძე:**  
ინგლისური-70/70!




# წარმატებული კურსდამთავრებულები ინგლისურში 70-დან 70!



**თათა თოდრია:**  
ინგლისური - 70/70!

**ნატა ლომსაძე:**  
ინგლისური - 70/70!

**დანიელ გოგიბერიძე:**  
ინგლისური - 70/70!



**ლუკა თასოშვილი:**  
ინგლისური - 70/70!

**არჩილ წიკლაური:**  
ინგლისური - 70/70!

**ბუბა ნაცვლიშვილი:**  
ინგლისური - 70/70!

# წარმატებული კურსდამთავრებულები



ჩვენი სკოლის წარმატებული  
კურსდამთავრებული, ვერცხლის  
მედალოსანი

**ირაკლი ქანთარია**

მაქსიმალური ქულებით ჩაირიცხა  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტში და რეიტინგის  
სათავეშია!



# ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამათავრებულები

- ნენე ჟვანია ჰარვარდში! -დაფინანსება \$ 340000
- ლიზი დარჩია  
მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში!  
MIT (Masachusetts Institute of Technology)- დაფინანსება  
\$ 340000
- ლევან ლოლაშვილი  
ნიუ იორკის უნივერსიტეტის  
აბუ-დაბის ფილიალში!-დაფინანსება \$ 340000
- ქეთი პერანიძე!  
მასაჩუსეტის ტექნოლოგიის უნივერსიტეტში (MIT!) !  
დაფინანსება\$ 320000!



# ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები

## ბექა ქართველიშვილი

\$ 240 000 -ის დაფინანსება დრექსელის უნივერსიტეტი, აშშ;

- მაქსიმალური დაფინანსება IE უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი;

Florida International University მაიაში (Miami) და Avila University, აშშ;

- 100 % იანი სრული დაფინანსება SPI სინგაპური, დუბაი, ლონდონი.
- 50 % დაფინანსება Jacobs University, ბრემენი, გერმანია.

საბოლოოდ არჩევანი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგულ IE ბიზნეს სკოლაზე გააკეთა და ბექა სწავლას მადრიდში ეკონომიკის ფალულტეტზე გააგრძელებს.





ჩვენი სკოლის წარმატებული  
კურსდამთავრებულები ევროპისა და აშშ-ის წამყვან  
უნივერსიტეტებში სრული დაფინანსებით სამაგისტრო და  
სადოქტორო პროგრამებზე

## სალომე ღვინეაძე:

ამერიკის როჩესტერის უნივერსიტეტში  
(University of Rochester)

სადოქტორო პროგრამაზე ჩააბარა სრული \$500000-იანი  
დაფინანსებით.

სპეციალობა ტრანსლაციურ ბიოსამედიცინო მეცნიერებები.



## ლუკა ხიზანიშვილი:

სწავლას აშშ-ში გააგრძელებს.

ლუკა სამაგისტრო-სადოქტორო პროგრამაზე სრული  
დაფინანსებით ბინჰემტონის უნივერსიტეტმა (Binghamton  
University) მიიღო.





წარმატებული  
კურსდამთავრებული  
ანა მარია ჩხაიძე

ვეკუას სკოლის წარმატებული  
კურსდამთავრებული:

ანამარია ჩხაიძე

მადრიდის ოფისში Amazon  
Business-ის გუნდს შეუერთდა  
Software Development Engineer-  
ის პოზიციაზე.






წარმატებული კურსდამთავრებულები დემეტრე ურიდია და  
ირაკლი შალიბაშვილი GOOGLE-ის ლონდონის ოფისში  
დასაქმდნენ





# წარმატებული კურსდამთავრებული თორნიკე დუტიშვილი

თორნიკემ ნიუ-იორკში, Citi-ში  
დაიწყო მუშაობა რაოდენობრივი ანალიტიკოსის  
პოზიციაზე .  
მისი საქმიანობის ძირითადი ნაწილი ფინანსური  
ინსტრუმენტების მათემატიკურ მოდელირებას და ანალიზს  
მოიცავს.





# წარმატებული კურსდამთავრებული მიქაელ გაგოშოძე

მიქაელმა კემბრიჯის ყველაზე პრესტიჟულ ტექნოლოგიურ კომპანიაში  
Qualcomm- ში დაიწყო მუშაობა.

ამ ეტაპზე, მიქაელი კონკრეტულად უსადენო ყურსასმენების მიკროჩიპებზე მუშაობს.  
მისი ისტორია შეიძლება ბევრი ახალგაზრდა მეცნიერისთვის და ინჟინერისთვის შთაგონების  
წყარო გახდეს.



# წარმატებული კურსდამთავრებული გურამ ქართველიშვილი

## გურამ ქართველიშვილმა

ნიუ-იორკში, საინვესტიციო ფონდში Millennium Management-ში დაიწყო მუშაობა რაოდენობრივი მკვლევარის პოზიციაზე. Millennium Management დაფუძნდა 1989 წელს ნიუ-იორკში და 58 მილიარდი აშშ დოლარის აქტივებს მართავს.

გურამის საქმიანობის ძირითადი ნაწილი ფინანსური ინსტრუმენტების მათემატიკურ მოდელირებას და შემდგომ იმპლემენტაციას მოიცავს. მსგავსი მოდელები აქტიურად გამოიყენება საფონდო ბირჟაზე დერივატივების ფასისა და არსებულ რისკების შესაფასებლად.





## ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესეებში უკვე ლექტორებად!

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა **საბა ხარაბაძემ, გუგა ხუნძაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ** Purdue University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად ამერიკულმა მხარემ ახალგაზრდები უნივერსიტეტში Teaching Assistant-ებად დაასაქმა.



# მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ახალგაზრდა ფიზიკოსთა 37-ე საერთაშორისო ტურნირზე  
(ფიზიკის მსოფლიო თასი)

## ბრინჯაოს მედალი !

ახალგაზრდა ფიზიკოსთა რიგით 37-ე საერთაშორისო  
ტურნირი (ფიზიკის მსოფლიო თასი),  
ბუდაპეშტში ჩატარდა და მასში საქართველოსთან ერთად  
38 ქვეყნის ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე ბრინჯაოს  
მედალი მოიპოვა.

ვეკუას სკოლის გუნდის წევრები არიან:

**მარიამ ლომინაშვილი და ლუკა ჩახნაშვილი;**





## მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-12 საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ტურნირი ქ. ბათუმში ჩატარდა და მასში 10 ქვეყნის 19 გუნდი მონაწილეობდა.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ ვეკუას სკოლის მოსწავლეები:

ალექსანდრე გვარამია( გუნდის კაპიტანი) და ლილე ჭელიძე!



# მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადაებსა და ტურნირებში

ჩვენი სკოლის მოსწავლემ ილია დოკაძემ  
ქიმიის 56-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე  
ბრინჯაოს მედალი მოიპოვა!

ოლიმპიადა საუდის არაბეთში ჩატარდა,  
მასში 89 ქვეყნის 327 მოსწავლე მონაწილეობდა.  
პედაგოგი:

ჩვენი სკოლის ქიმიის მასწავლებელი,  
საოლიმპიადო წრის ხელძღვანელი:  
თინათინ ბუთხუზი ;





# მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადაებსა და ტურნირებში



## მათემატიკის 65-ე საერთაშორისო ოლიმპიადა (IMO 2024)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა

მათემატიკის 65-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IMO 2024)-

1 ოქროს, 3 ბრინჯაოს მედალი და ერთი საპატიო სიგელი;

ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ჩვენი სკოლის კლასის მოსწავლე რატი რატიანი.





# საერთაშორისო ოლიმპიადები და ტურნირები

## JUNIOR ბალკანეთის მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადა JBMO 2024

ჩვენი სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ

თორნიკე მანწკავამ junior მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა!

ოლიმპიადა თურქეთის ქალაქ ანტალიაში ჩატარდა, რომელშიც 22 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრები ოლიმპიადაში პირველად მონაწილეობდა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ვერცხლის მედლის მფლობელი **თორნიკე მანწკავა** გახდა.





## მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ჩვენი სკოლის მოსწავლეების წარმატება ქიმიის პირველ საერთაშორისო ტურნირზე!

ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ქიმიის პირველ საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს!





# მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ვეკუას სკოლის გუნდი რობოტიკის ჩემპიონატის გამარჯვებულია და გერმანიაში იმყოფებოდა European RoboCup 2024-ზე!

ისტორიაში პირველად, ჭიათურაში რობოტიკის ჩემპიონატი გაიმართა. RoboCup Georgia-ს ფარგლებში ჩემპიონატში საქართველოს მასშტაბით 23 გუნდი მონაწილეობდა.

მთავარ პრიზს ვეკუას სკოლის გუნდი დაეუფლა და ივნისის თვეში გერმანიაში, European RoboCup2024-ზე გაემგზავრა.





# მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ვეკუას სკოლის მოსწავლეები ათენში!  
რობოტიკის-FIRST GLOBAL -შეჯიბრზე!

რობოტიკის ეროვნული ნაკრების წევრები:  
თემიკო მაჭავარიანი, ალექსანდრე თედიაშვილი  
და ბაგრატ დავითაშვილი  
24-30 სექტემბერს მიემგზავრებიან ათენში  
რობოტიკის შეჯიბრზე,  
რომელშიც 180-ზე მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას!  
კონკურსის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი  
მენტორი ჩვენი  
სკოლის რობოტიკის წრის ხელმძღვანელი  
ნიკოლოზ ლობჯანიძეა.





# მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ლუკა წიწილაშვილმა ჟაუტიკოვის მე-20 საერთაშორისო ოლიმპიადაზე მათემატიკაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

2024 წლის 2 და 3 თებერვალს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა ჟაუტიკოვის სახელობის მე-20 საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში!

წელს ოლიმპიადაში 21 ქვეყანა მონაწილეობდა.

მათემატიკაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ლუკა წიწილაშვილმა-XII-კლასი





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

სკოლაში უკვე მეორედ ჩატარდა ოლეგ კვეტენაძის სახელობის შიდა სასკოლო ჩემპიონატი;

ჩვენი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, ოლეგ კვეტენაძის ხსოვნის უკვდასაყოფად სკოლაში საფუძველი ჩაეყარა მათემატიკის შიდა სასკოლო ოლიმპიადას „ვეკუას თასი“ 7-9 კლასების მოსწავლეებისთვის. ოლიმპიადა სამ ტურად ჩატარდა. გამარჯვებულ მოსწავლეებს სერტიფიკატები და ფულადი პრიზები გადაეცათ! პრიზები გაიცა ოლეგ კვეტენაძის სახელობის ფონდიდან!





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

ვეკუას სკოლის რობოტიკის ნაკრების ექვსმა წევრმა  
და მენტორმა კომაროვის STEM ოლიმპიადაზე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლებს  
შორის პირველი ადგილი მოიპოვა!

ჩვენი სკოლის ნაკრებმა ფიზიკა-მათემატიკურ სკოლებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა.  
ვეკუას სკოლის გუნდის დამსახურებული გამარჯვებისთვის სკოლას 5000 ლარი გადაეცა,  
რომელიც სკოლის რობოტიკის წრის განვითარებას მოხმარდება.





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

ჩვენი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები

ნია ბაციკაძე და მარიამ ურუშაძე

საერთაშორისო პროექტის- **Technovation Girls 2024**-ის გამარჯვებულები არიან საქართველოს მასშტაბით.

**Technovation Girls** საერთაშორისო პროექტია, რომელიც პროგრამირებასა და მეწარმეობაში გოგონების მეტ ჩართულობას ისახავს მიზნად. ჩვენმა მოსწავლეებმა შექმნეს მობილური აპლიკაცია Quake Quest, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას ბუნებრივ კატასტროფებზე და პირველადი დახმარების აღმოჩენაზე..





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიპიადები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში "ლავუაზიეს წრე"

კონკურსში I ადგილი მოიპოვეს ვეკუას სკოლის მოსწავლეებმა:

ილია დოკაძემ

არჩილ წიკლაურმა და კონსტანტინე დავითაშვილმა.





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

ვეკუას სკოლის გუნდი "ტვინების ბრძოლის"  
საქალაქო ტურის გამარჯვებულია!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა გუნდურ-ინტელექტუალური შეჯიბრი „ტვინების ბრძოლის“ საქალაქო პირველობა. კონკურსში 200- მდე მონაწილე ჯგუფს შორის

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისი # 42 საჯარო სკოლის გუნდმა - "პითაგორამ" უმაღლესი შედეგით პირველობა მოიპოვა.





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

ჩვენი სკოლის გუნდმა ინტელექტუალურ-შემეცნებით თამაშზე  
"რა, სად, როდის ევროპის შესახებ" ძველი თბილისის რაიონის სკოლებს შორის პირველობა  
მოიპოვა

კავკასიის უნივერსიტეტში ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ ევროპის შესახებ თბილისის სკოლების ტური გაიმართა. თამაშს გართობასთან ერთად შემეცნებითი დატვირთვა ჰქონდა, მოსწავლეები ეცნობოდნენ, ევროკავშირის მისიას, სტრუქტურასა და ღირებულებებს.





# ეროვნული და შიდა სასკოლო ოლიმპიადები

ნინო იმერლიშვილი სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებულია

გამარჯვებულები  
გამოვლინდნენ  
მოსწავლეებისათვის  
ადგილზე მიცემული  
ინდივიდუალური და  
ჯგუფური დავალებების  
საფუძველზე.  
ფინალისტები  
დაჯილდოვდნენ  
კომპიუტერებით, სხვა  
ფასიანი საჩუქრებით.






# ეროვნული და შიდა სასკოლო პროექტები

ჩვენი სკოლის მოსწავლეების -ლუკა ჩახნაშვილისა და ალექსანდრე გვარამიას წარმატება მომავალ ფიზიკოსთა მეცხრე ფესტივალის ფინალურ კონფერენციაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მომავალ ფიზიკოსთა მე-9 ფესტივალის შემაჯამებელი კონფერენცია. პრიზი ყველაზე შინაარსიანი ნაშრომისათვის და ასევე ფულადი პრემია გადაეცა ლუკა ჩახნაშვილს! პრიზი სკოლის მოსწავლის საუკეთესო ნაშრომისთვის კ ალექსანდრე გვარამიას;





# ეროვნული და შიდა სასკოლო პროექტები

ჩვენი სკოლის მოსწავლეები პროექტ „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის“ კონკურსის გამარჯვებულები არიან!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტ „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის“ კონკურსში

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლა საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა.

პროექტის ფინალური თამაში სასტუმრო

„ბილტმორ თბილისში“ გაიმართა და მასში

40 საჯარო და კერძო სკოლის გუნდი მონაწილეობდა.






# შიდა სასკოლო პროექტები

## ლიტერატურული საღამო „წიგნი-სულის საზრდო!“

სკოლაში წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილი ღონისძიება „წიგნი-სულის საზრდო!“

საღამოს ესწრებოდა მწერლის ქალიშვილი, ქალბატონი მანანა დუმბაძე, რომელმაც გაიხსენა მამის მოღვაწეობა და ისაუბრა მის შემოქმედებაზე. ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფიული ესკიზის მიხედვით მოსწავლეებმა სცენაზე გააცოცხლეს მწერლის ლიტერატურული გმირები. საღამოს დასასრულს სკოლის ბიბლიოთეკარმა, თინათინ ბარბაქაძემ, საუკეთესო მკითხველები ნოდარ დუმბაძის წიგნებითა და სიგელებით დააჯილდოვა!






# შიდა სასკოლო პროექტები

საგნის - „პროექტები სამოქალაქო განათლებაში“ ფარგლებში  
შექმნილი დანადგარი

X-1 კლასის მოსწავლეებმა  
ალექსანდრე გვარამიამ და ლუკა ჩახნაშვილმა  
პროექტის „იდეა შესაძლებლობაა“  
ფარგლებში საჭიროებებზე  
მორგებული დანადგარი შექმნეს,  
რომელიც პლასტმასის პოლიეთილენის  
ბოთლებისგან  
აწარმოებს 3D პრინტერის საკმაოდ მტკიცე მასალას.  
დანადგარი საფუძველს ჩაუყრის სკოლაში  
სოციალური საწარმოს შექმნას.





# შიდა სასკოლო პროექტები

ინტელექტუალური შეჯიბრი  
რა? სად? როდის? - კონკურსი ინგლისურ ენაზე

ინტელექტუალური შეჯიბრი - რა? სად? როდის? გაიმართა მერვე კლასებს შორის.  
კონკურსი ინგლისური ენის პედაგოგის -მაკა ქომეთიანის თაოსნობით გაიმართა.  
საკონკურსო შეკითხვები მომზადებული იყო ინგლისურ ენაზე.  
კონკურენტებს შორის გამარჯვება მოიპოვა ექვსეულმა შემდეგი შემადგენლობით:  
დავით სარალიძე, მირცა შიხიაშვილი,  
ნიკოლოზ მიქიანი, გიორგი გაზაშვილი,  
თორნიკე კეჭეხმაძე და საბა-ილია დვალიშვილი;





# ყოველწლიური სასკოლო კონფერენცია

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლაში, დაარსების დღიდან სხვადასხვა ფორმით აღინიშნება დიდი მეცნიერის, ილია ვეკუას დაბადების დღე. 2019 წლიდან ამ პროცესს ფორმალური სახე მიეცა და საფუძველი ჩაეყარა „ყოველწლიურ სასკოლო კონფერენციას“. მოსწავლეების მიერ მომზადებული საკონფერენციო თემები არის მრავალფეროვანი და საინტერესო, როგორც ტექნიკური, ასევე ჰუმანიტარული მიმართულებით!





# მოსწავლეთა თვითმმართველობა და კლუბები

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის #42 საჯარო სკოლა USAID - ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ტექნიკის კონკურსის გამარჯვებულია

სკოლამ პროგრამისგან საჩუქრად

მიიღო ტექნიკის ნაკრები. სკოლა მადლობას უხდის [USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა / USAID Civic Education Program](#) აღიარებისა და მხარდაჭერისთვის, მოსწავლეთა თვითმმართველობას და მის ყოფილ თავმჯდომარეს @nika Lobzhanidze -ს გაწეული საქმიანობისთვის, ერთგულებისა და პასუხისმგებლობისთვის.





# მოსწავლეთა თვითმმართველობა და კლუბები

მოსწავლეთა თვითმმართველობის კვირეულის შეჯამება და მეგობარი სკოლების სტუმრობა სკოლაში!

საჯარო დათვალიერებაზე სკოლის ადმინისტრაცია ისმენდა და ინიშნავდა მოსწავლეთა ხედვებს სკოლის საჭიროებების და განვითარების შესახებ.

აქტივობა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

პრაქტიკის გაზიარების მიზნით სკოლამ მეგობარ სკოლებს უმასპინძლა, მოსწავლეებმა გაცვალეს იდეები და მიიღეს რჩევები.





# მოსწავლეთა თვითმმართველობა და კლუბები

USAID ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში  
მეგობარი სკოლებისთვის პრაქტიკის გაზიარების შეხვედრები

შეხვედრა მიზნად ისახავს თვითმმართველობების გაძლიერებასა და დემოკრატიული  
კულტურის ხელშეწყობას.






# მოსწავლეთა თვითმმართველობა და კლუბები

## პროექტი "გაზიარებული ტექნოლოგიები"

პროექტის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების პრაქტიკის გაზიარება, სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლის საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ციფრული ტექნოლოგიების მასტერკლასებს.

პროექტი სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.





# მოსწავლეთა თვითმმართველობა და კლუბები

## პროექტი "ციფრული ეთიკა და კიბერბულინგის საფრთხე"

2024 წელს მცირე საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა ჩვენი სკოლის პროექტმა „ციფრული ეთიკა და კიბერბულინგის საფრთხე“.

პროექტის მიზანია, სასკოლო თემში საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით, ციფრული ეთიკის დაცვის ხელშეწყობა, კიბერბულინგით გამოწვეული საფრთხეების და შედეგების გაცნობიერება, კიბერბულინგის დაცვის გზებისა და მექანიზმების გააზრება.

პროექტის ფარგლებში მომზადდება კრებულები, რომელიც მასწავლებლებს დამხმარე რესურსად გამოიყენებენ.





# სამოქალაქო განათლების კლუბის „IN POSTERUM-მომავლისთვის“ აქტივობები


- საერთაშორისო დღეების აღნიშვნა სკოლის დემოკრატიის სივრცეში;
- რესურსების დაზოგვისა და კითხვის ხელშეწყობისთვის წიგნების გაცვლის აქცია;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის აქცია;
- „გვახსოვდეს ოკუპაცია“ მიძღვნილი ღონისძიება.





# ჩვენი სკოლის მოსწავლეების ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შეიქმნა უნიკალური, ონლაინ სასკოლო ჟურნალისტიკის მოდელი “ვეკუა TV”

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოირგეს ჟურნალისტების ამპლუა და სხვადასხვა რუბრიკების ფარგლებში, საინტერესო სიუჟეტებს გვთავაზობენ.





ისინი ყოველკვირულად აშუქებენ საინტერესო რუბრიკებს, ამაზალებენ სიუჟეტებს სხვადასხვა მიმართულებით, აწყობენ ონლაინ ვიქტორინებს სამეცნიერო თემებზე, იღებენ ინტერვიუებს პედაგოგებისგან. დაინტერესებულ მაყურებელს ყველა გადაცემის ნახვა შეუძლია Youtube არხზე.





# სატელევიზიო პროექტი წიგნების თარო

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათეატიკის ქალაქ  
თბილისის # 42 საჯარო სკოლა

სატელევიზიო პროექტის -“წიგნების თაროს“

13 სასკოლო სეზონის განმავლობაში რეიტინგით პირველ ადგილს  
ინარჩუნებდა!





# სპორტული აქტივობები

16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ჩვენი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ- ანა მაჭარაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა.

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ალექსნადრე ბოკუჩავას თასის გათამაშება 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის.

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით 7 ტურად გაიმართა და მისი საპრიზო ფონდი 1800 ლარს შეადგენდა. ვეკუას სკოლის მოსწავლემ **ანა მაჭარაშვილმა** წარმატებით იასპარეზა და მეორე ადგილი დაიკავა.





# სპორტული აქტივობები

- ჩვენი სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ -მათე ქამხაძემ საქართველოს 2024 წლის კრივის ეროვნულ ჩემპიონატზე, მოსწავლე მოკრივეთა შორის 80 კგ წონით კატეგორიაში, პირველი ადგილი მოიპოვა
- ჩვენი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ ირაკლი კუპრეიშვილმა XIV საერთაშორისო ტურნირში ჭიდაობა- ძიუდოში მესამე ადგილო მოიპოვა





# სპორტული აქტივობები

კალათბურთის შიდა სასკოლო ჩემპიონატის გამარჯვებულების დაჯილდოება





# ბოლო ზარი ვეკუაში

განსაკუთრებული ბოლო ზარი აქვთ ჩვენს კურსდამთავრებულებს. ისინი მანტიებით არიან შემოსილნი და საზეიმო ღონისძიებას „ქულების აყრის“ ცერემონიით ასრულებენ!





## პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლას ყოველწლიურად სხვადასხვა უნივერსიტეტი სტუმრობენ

- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი
- საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი (GIPA)
- კავკასიის უნივერსიტეტი





# სტანდარტზედა სერვისები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- ლოგიკა
- პროგრამირება
- ელ. კვანძები
- ფსიქოლოგია
- კრიტიკული აზროვნება
- ბულალტერია
- ლიტმცოდნეობა
- მსოფლიო ლიტერატურა - ანტიკურიდან დღემდე
- ვებპროგრამირება



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-  
მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლა

გმადლობთ ყურადღებისთვის!

2024წ.